

შპს „მარჯი კვტ“-ის
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს "მარჯი კვტ"				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
ერთეული: 1 GEL				
	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	168016	1048831	320467	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1288379	534569	83272	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	425545	625006	31833	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	583884	1217657		3.2
მ.შ. - მზა პროდუქცია	578515	1217657		
- სხვა	5369			
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	253663	562716	14856	3.3
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები	416385	415841	999	3.4
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	3135872	4404620	451427	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	194216	251976		
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	4064	90	136	
საგადასახადო ვალდებულებები	70332	40398	8188	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	1662700			
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	77330			3.5
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები				
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები	63325	3775612	66589	
სულ ვალდებულებები	2071967	4068076	74913	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	1063905	336544	376514	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	1063905	336544	376514	3.8
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3135872	4404620	451427	
სულ მოკლევადიანი აქტივები	2719487	3988779	450428	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2071967	4068076	74913	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2023 წ.				
დირექტორი: _____ მაია მორგოშია				
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს "მარჯი კვტ"			
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2022	2021	
ნეტო ამონაგები	6239081	1302664	3.6
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	3749896	674272	
- მომსახურების გაწევიდან	2489185	628392	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-3512697	-484396	3.6
საერთო მოგება	2726384	818268	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	9356	233	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1234801	-618951	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-10178	-5036	
საპროცენტო შემოსავალი	623	9760	
საპროცენტო ხარჯი		-205	
იჯარის ხარჯი	-52019		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-557480	-244039	3.7
სულ საოპერაციო ხარჯები	-1844499	-858238	
საოპერაციო მოგება	881885	-39970	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-141169		
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	-5414		
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	735302	-39970	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	735302	-39970	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	735302	-39970	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	336544	376514	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-7941		
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1063905	336544	3.8
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2023 წ.			
დირექტორი: _____		მაია მორგოშია	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს "მარჯი კვტ"			
ფულადი ნაკადების ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2022	2021	
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-987992	1277469	
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	63342	-510488	
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	77330	-204	
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	-847320	766777	
სავალუტო კურსის ეფექტი	-33495	-38413	
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	1048831	320467	
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	168016	1048831	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2023 წ.			
დირექტორი: _____		მაია მორგოშია	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „მარჯი კვტ“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2018 წლის 5 სექტემბერს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია – 402099359, იურიდიული მისამართი – საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, აკ. წერეთლის გამზირი N 123.

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის პარტნიორები არიან:

მაია მორგოშია (პ/ნ 01015013803) – 50%;

გელა ჩხაიძე (პ/ნ 01027015494) – 50%.

1.3. კომპანიის დირექტორია მაია მორგოშია (პ/ნ 01015013803).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა კარ-ფანჯრების გაყიდვა და მონტაჟი.

1.5. კომპანიას ფილიალები არ აქვს. ასევე, კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი ან მეკავშირე საწარმოები.

1.6. კომპანიაში დასაქმებულ პირთა საშუალო რიცხოვნობა 2022 წელს იყო 55 კაცი.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2020 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 01.01.2020 წ., თუმცა 2020 წლის გადაანგარიშება მოხდა 2021 წლის ფინანსური

ანგარიშგების შედგენისას. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი – დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება – ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის რეალური ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული

დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება 3 წელზე უფრო ნაკლებ ვადაში.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება რეალური ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში რეალური ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში – საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული საბანკო ანგარიშებზე (ვინაიდან ნაღდი ანგარიშსწორება არ წარმოებს).

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები – 25 წელი;

მანქანა-დანადგარები – 5-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა – 4-5 წელი;

ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობა – 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები – 5-10 წელი;

სხვა მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები – 1-2 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით – 10%.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომელთათვის ეს დებულება ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან (სადაზღვევო კომპანიებისათვის – 2024 წლის 1 იანვრიდან).

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2022 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი; 1 EUR=2.8844 ლარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი; 1 EUR=3.5040 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2022 წელს: **1 USD=2.9137 ლარი; 1 EUR=3.0812 ლარი.**

2021 წელს: **1 USD=3.2170 ლარი; 1 EUR=3.8152 ლარი.**

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში		7739
ლარი საბანკო ანგარიშებზე	222	217328
აშშ დოლარი საბანკო ანგარიშებზე	167794	823764
სულ:	168016	1048831

3.2. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
მზა პროდუქცია და გასაყიდი საქონელი	578515	1214696
ხელსაწყოები	2135	1039
სპეცტანსაცმელი	3038	1922
საწვავი	196	
სულ:	583884	1217657

3.3. სხვა მოკლევადიანი აქტივები:

31.12.2022 წ. მდგომარეობით, კომპანიის სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები შედგება:

ჩასათვლელი დღგ-ის აქტივი

(მიღებული ავანსების დაბეგვრის გამო წარმოშობილი) – 253632 ლარი;

საპენსიო სააგენტოზე ზედმეტად გადარიცხული თანხა – 31 ლარი.

სულ: 253663 ლარი.

3.4. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	2022 წელი ზრდა ან შემცირება	2022 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	2021 წელი ზრდა ან შემცირება	2021 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
მიწა	376046			376046	376046	0	0
ოფისის აღჭურვილობა	1171	1318	-147	0	0	0	0
კომპიუტერული ტექნიკა	5411	4999	-533	945	992	-47	0
სპეციალური ინსტრუმენტები	10505	3305	-2779	9979	10127	-1147	999
ავტოტრანსპორტი	23252	1100	-6719	28871	32718	-3847	0
სულ:	416385	10722	-10178	415841	419883	-5041	999

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

2022 წელს ძირითადი საშუალებები არ გაყიდულა.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2022 წლის ბოლოს – 15 677 ლარი;

2021 წლის ბოლოს – 5 499 ლარი.

3.5. მოკლევადიანი ნასესხები სახსრები:

31.12.2022 წ. მდგომარეობით, კომპანიის მოკლევადიანი ნასესხები სახსრები სრულად შეადგენდა ფიზიკური პირისაგან – კომპანიის დამფუძნებლისგან მიღებულ სესხს, რომელიც შეადგენდა **77330** ლარს და მთლიანად დაიფარა 2023 წელს.

3.6. ნეტო ამონაგები:

	2022 წელი	2021 წელი
კარ-ფანჯრების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	3749896	674272
კარ-ფანჯრების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	2489185	628392
გაყიდვებზე და მომსახურების გაწევაზე გახარჯული მასალების თვითღირებულება	-3512697	-484396
სულ:	2726384	818268

3.7. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა იჯარისა, შრომის ანაზღაურებისა, ცვეთისა და ამორტიზაციისა):

	2022 წელი
მივლინების ხარჯები	(600)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(317,543)
რეკლამის ხარჯები	(164,765)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	(2,473)
კომპიუტერის და საკანცელარიო ხარჯები	(515)
საოფისე ინვენტარის ხარჯები	(225)
კომუნიკაციის ხარჯები	(934)
საწვავის ხარჯები	(18,768)
სხვა საგადასახადო ხარჯები	(452)
საბანკო ხარჯები	(1,693)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(14,850)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(34,662)
სულ:	-557480

3.8. საანგარიშო პერიოდის მოგება-ზარალი და საკუთარი კაპიტალი

2022 წელს კომპანიის მოგებამ შეადგინა 735302 ლარი, რაც დაემატა წინა წლების გაუნაწილებელ მოგებას. 2022 წლის ბოლოს მდგომარეობით, გაუნაწილებელი მოგების ნაშთი შეადგენს 1063905 ლარს. მოგების გადასახადის ხარჯი კომპანიას არ ჰქონია, რადგან 2022 წელს კომპანიას არ გაუნაწილებია დივიდენდები.

3.9. სასამართლო დავები

კომპანიას 2022 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში ისეთი საყურადღებო მოვლენები, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას, არ მომხდარა.

3.11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2023 წლის 30 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს "მარჯი კვტ"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	168016	1048831	320467	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1288379	534569	83272	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	425545	625006	31833	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	583884	1217657		3.2
მ.შ. - მზა პროდუქცია	578515	1217657		
- სხვა	5369			
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	253663	562716	14856	3.3
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები	416385	415841	999	3.4
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	3135872	4404620	451427	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	194216	251976		3.5
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	4064	90	136	
საგადასახადო ვალდებულებები	70332	40398	8188	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	1662700			
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	77330			
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები				
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები	63325	3775612	66589	
სულ ვალდებულებები	2071967	4068076	74913	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	1063905	336544	376514	3.8
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	1063905	336544	376514	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3135872	4404620	451427	
სულ მოკლევადიანი აქტივები	2719487	3988779	450428	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2071967	4068076	74913	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2023 წ.

დირექტორი:

მ. მ. მ. მ. მ.

მაია მორგოშია

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "მარჯო კვტ"

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

		საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
		2022	2021	
ნეტო ამონაგები		6239081	1302664	3.6
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან		3749896	674272	
- მომსახურების გაწევიდან		2489185	628392	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან				
- სხვა ამონაგები				
გაყიდვების თვითღირებულება		-3512697	-484396	3.6
საერთო მოგება		2726384	818268	
სხვა საოპერაციო შემოსავალი		9356	233	3.7
დასაქმებულთა ანაზღაურება		-1234801	-618951	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი		-10178	-5036	
საპროცენტო შემოსავალი		623	9760	
საპროცენტო ხარჯი			-205	
იჯარის ხარჯი		-52019		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		-557480	-244039	
სულ საოპერაციო ხარჯები		-1844499	-858238	
საოპერაციო მოგება		881885	-39970	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა				
მ.შ. - ფინანსური აქტივების				
- მარაგების				
- სხვა არაფინანსური აქტივების				
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.		-141169		
მიღებული დივიდენდები				
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		-5414		
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან		735302	-39970	
მოგების გადასახადის ხარჯი				
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		735302	-39970	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი				
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი				
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)				
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:				
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი		735302	-39970	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		336544	376514	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)				
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)				
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-7941		
კაპიტალის სხვა ცვლილებები				
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1063905	336544	3.8

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2023 წ.

დირექტორი:

მანია მოზგოშია

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "მარჯო კვტ"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2022	2021
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-987992	1277469
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	63342	-510488
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	77330	-204
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	-847320	766777
სავალუტო კურსის ეფექტი	-33495	-38413
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	1048831	320467
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	168016	1048831

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2023 წ.

დირექტორი: _____

მაია მორგოშია

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.